წელიწადი მეოთხე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი გიორგი

ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯელ უნახავს ქართვლის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლევია.

ი. ჭავჭავაძე.

პარიზი
ენკენისთვე 1929 წ.
№ 22

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETRHI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris - XVII

Septembre 1929
№ 22
Paris

ფასი 2 ფრანკი

* *
*

აგვისტოში შესრულდა 5 წლის თავი უკანასკნელ საქართველოს აჯანყებისა...

მალე შესრულდება 10 წელიწადი, რაც საქართველოში დამარცხდა მტერი ინტერნაციონალი და ამით ქართველმა ერმა დაჰკარგა სახელმწიფოებრივი თავისუფლება.

ამჟამად ინტერნაციონალი თავისებურად განაგრძობს რუსიფიკაციას ქართველ მოწინავე წრეებისას და გადატაკებას ქართველ ხალხისას...

ორივე ინტერნაციონალი საქართველოში მუდამ მოქმედებდნენ რუსული სახით და გასაგებია, რომ ეროვნულ თავდაცვაში ვერ გამოდგნენ... გვაქვს თუ არა საბუთები რომ გამოდგებიან მომავალში?

ვინა სთქვა, რომ ერის განთავისუფლება უნდა მოხდეს სხვისი ნებართვით და სხვისი ღვაწლით? ნუ თუ კიდევ გაივლის თვეები და თვეები სანამ «ძველი ბელადები» გაიგებდნენ «ძველ» შეცდომებს და მიიღებენ მონაწილეობას ეროვნულ მზადებაში და შეიარაღებაში საქართველოს სახელმწიფოს აღსადგენად? ნუ თუ ფიქრობენ, რომ განმეორდება პარადოქსალური ბედის დაცინვა და ხელმეორედ მიიღებენ «თავისუფლებას» დემეშით, რომელსაც უმალვე გადასცემენ მოსავლელად მტერ ინტერნაციონალს?

თუ «ძველი ბელადები» სულ ელიან, რომ ვიღაცამ მეგობრობის გულისათვის უნდა რაღაცა გააკეთოს მათთვის, ნუ თუ ახალგაზრდობას აქვს კიდევ მოთმინება უსაქმო ლოდინისა?

ათი წელიწადი დიდი ვადაა ადამიანის სიცოცხლეში. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში გაიზარდა ახალი თაობა სხვა პირობებში, სხვა სულისკვეთებით და მოძრაობს სხვა მიმართულებით...

«ძველმა ბელადებმა» დღემდი ვერ აუღეს ალღო ახალ ცხოვრებას; დაბრმავებულმა რუსულ ქაოსით, ევროპაში ვერ ნახეს სინათლე... ნუ თუ ავიწყდებათ, რომ ადრე თუ გვიან იძულებულნი იქნებიან დაუთმონ ადგილი ახალ თაობას? — სოფელი ასე ქმნილა: იგი წავა და სხვა მოვა...

მაგრამ არა, დასასრულის მოახლოვების წინ, მაინც იჩენენ სიხარბეს, აკლიათ ვაჟკაცობა აღიარონ თავისი შეცდომები და სჩადიან ახალ ცოდვებს, ახალ დანაშაულს. მათი საქმიანობაა: ჭორი, პროვოკაცია, ცილისწამება...

ახალი თაობა უკუ-აგდებს ამ მემკვიდრეობის საძინელ ტვირთს და გააღრმავებს წმინდა სულით ახალ გადახალისებულ მოძრაობას...

«ძველ ბელადებს» არც კი უნდათ რომ «შვილი სჯობდეს მამასა»; პირიქით, ყველა ძალ-ღონეს ხმარობენ, რომ მოახდინონ ატროფია ახალგაზრდულ გამბედაობის, ახალი ხალისის და თაოსნობის, თავგანწირულ შრომის და ბრძოლის... ემცოდებიან ეს მოხუცი «ბელადები». თავის უმზგავსო საქციელით ვერ მოსპობენ მაინც ჩვენში ეროვნულ ტრადიციას პატივცემისა მოხუცებულისადმი...

ჩვენ ვართ დიდი მოწინააღმდეგენი ბრძოლისა მამათა და შვილთა შორის; ეს მოდა შემოგვიტანა რუსეთმა თავის ველურ ხასიათით, სხვა უხეშ ნაკლებთან ერთად.

ჩვენ მივილტვით ქართველთა გაერთიანებისაკენ წმინდა მიზნისათვის: უფლებრივ სახელმწიფოს შექმნით ახალ ოქროს ხანისაკენ!

ახალთაობამ კარგად იცის, რომ ხსნა მხოლოდ თვით ერშია... მირაჟები «საგარეო პოლიტიკის» არსებობენ უვიც ბრბოის თვალსაზრისად, ეს მეთოდი არ გამოდგება ქართველ ერს! — საგარეო პოლიტიკის ძალოვა და საგარეო პოლიტიკაში გამარჯვება შედეგია მხოლოდ შინაგან საქმიანობის, შინაგან ძლიერების! — არ გვაკვირვებს სრულებით «მათი» დროისა და ფულის უნაყოფო ხარჯვა «მათი საგარეო პოლიტიკის» წარმოებაში. სრულებით არ გვაკვირვებს «მათი დამარცხება—დამარცხებაზე».. ეს არის ლოღიკური შედეგი მათ მიერ, მტრის გასახარათ, ეროვნულ ძალების მეთოდიურ დაყოფა — დაქსაქსვისა. საგარეო პოლიტიკა ყოველთვის არის შედეგი შინაგან საქმიანობისა. ნუ თუ გაივლის კიდევ დიდი დრო და ჩვენ დავრჩებით მსხვერპლად ეგეი პოლიტიკისა «მოხუცებულ ბელადების»? ჩვენი წადილია გავაერთიანოთ ყველა ძალები, პარტიების გარეშე, ეროვნულ იდეოლოგიაში, ეროვნულ დისციპლინაში. ახალგაზრდობა მუდამ იჩენს ახალ ხალისს, , თაოსნობას; — ის თავის მაგალითით და საქციელით დაარწმუნებს «ძველებს» რომ ქართველი ერის ხსნა ეროვნულ ორგანიზაციაშია. — საბედნიეროდ ჩვენ ვიცით, რომ ყველა წრეებში ახალგაზრდობა უკვე მოქმედებს ამ მიმართულებით...

ჩვენ მათგან ველით მეტს მხნეობას და გამბედაობას. როდემდის უნდა უყუროთ «ძველ ბელადების» გადახალისებას? დროა ახალთაობამ იკისროს პასუხისმგებლობა ქართულ ისტორიის წინაშე.

---

## ქართული ეკლესია პარიზში.

ქართული ეკლესიის პარიზში დაარსების საქმემ შესამჩნევად წინ წაიწია. ფორმალური მხარე სავსებით გამორკვეულია და ახლა ნივთიერ მხარეზედაა დამოკიდებული მისი სრული დაბოლოვება.

ფორმალური მხარის დაძლევას დიდი დრო და მეცადინეობა დასჭირდა, რადგან ქართულ ეკლესიას აქაც მტრები აღმოუჩნდნენ და ეს მტრები, რა თქმა უნდა, რუსები არიან, მაგრამ ვერას გახდნენ. გულმოდგინე ზრუნვამ ამ საქმის სათავეში მყოფ ადამიანების მ სძლია ბოროტი განზრახვები მოწინააღმდეგეთა. ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსი არიან ყველა ის პირნი, რომელთაც თავისი დაუღალავი შრომით და დაჟინებითი მოღვაწეობით მიაღწიეს მიზანს.

ეკლესიის მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებაში ახსნა-განმარტებას არ შევუდგებით, რადგან ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ დღევანდელ პირობებში ჩვენი ცხოვრებისა, ქართულ ეკლესიის დაარსებას პარიზში-კი, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ოდნავ მიმოვიხედოთ, გადავავლოთ თვალი ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ის განადგურებულია.

არას დროს, არც ერთს უცხო და ველურ დამპყრობელთ ისე არ შეუვიწროვებიათ სარწმუნოება და ეკლესია საქართველოში, როგორც ეს უკანასკნელ ხანებში რუსის ურდოებმა ჰქმნეს. თუ უწინ საქართველოს მტრები შეესეოდნენ, მას და მის ეკლესიას აქეთ-იქეთ წაბილწავდნენ ან დაანგრევდიენ, ისინი მაინც საერთოდ სარწმუნოების აღმოფხვრას არ ლამობდნენ, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში ახალ სარწმუნოებას მესთავაზებდნენ ან ძალით მიაღებინებდნენ რომელიმე კუთხეს საქართველოისას; მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში რაღაც სარწმუნოება იყო, რომელიც მათ სწამდათ. ეხლა-კი შემოსული რუსები თვით სრულიად «ურჯულონი» არიან და საერთოდ მთელ საქართველოში სპობენ სარწმუნოებას და ზდიან ქართველ ერს ურჯულოებად, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი უბრუნდებიან წარმართობის დროს, მათი კერპებია მარქსი, ლენინი, რომელზედაც ბალღებს ალოცებენ. ამ მიზნით მთელი კომისიებია შედგარი, რომელთაც დახმარებას უწევს სახელმწიფო აპარატი. თავის ხელისუფლებით და საშინელი სისტემით ებრძვიან ყოველგვარ სარწმუნოებრივ გამოვლინებას. შედეგებიც საშინელია — გულშემზარავი. სრული ზნეობრივი გათახსირების მაგალითები, ჯერ არ მომხდარი საქართველოში არასოდეს; თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ ა რ ა ს ო დ ე ს. აგა ვის გაუგონია, რომ ქართველმა კაცმა თავისი საკუთარი, ღვიძლი ასული გააუპატიურა, ნამუსი ახადა.. 1)

ვის გაუგონია ჩვენში ძმამ საჯაროთ თავისი საკუთარი დაი ცოლად გამოაცხადოს და პატარძლათ სახლში მოიყვანოს. აი სადამდე მივიდა საცოდავი გზა დაბნეული ერის, გონება მოწამლულ შვილთა საქციელი.

1) დედამ შეასწრო. კივილი ასტეხა. მოგროვილ ხალხს ამ ვაჟბატონმა განუცხადა: ჩემი ცოლი სნეულია, ძარღვებ აშლილი იჭვიანობისაგან. შარი მომდო. გამოძიებამ სულ სხვა გამოარკვია, მაგრამ როგორც დიდი კომუნისტის საქმე მიაფუჩეჩეს.

თუმცა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა აგერ უკვე 25 წელიწადია, რაც დაიწყო საქართველოში სოციალისტების უკუღმართ მქადაგებელთაგან. ჯერ 1905 წელს ეგრეთ წოდებული «წითელ რაზმელები» ჩაბალახით და ქუდებით თავზედ, პაპიროსით პირში შედიოდნენ ეკლესიაში წირვის დროს. ერთი შემთხვევა იყო გურიაში მღვდელმა გაკიცხვა მოუნდომა ასეთ საქციელს და გაბრაზებულმა რაზმელმა «ბერდანა» ესროლა შიგ ეკლესიაში დასვენებულს სასწაულმოქმედ ხატს და მღვდელს უთხრა: «აბა რა სასწაულის მქნელია ეგ შენი ხატი, ახლა გამოიჩინოს». იქვე მდგომმა მოხუცმა გურულმა ჩვეულებრივ მოსწრებულად უპასუხა: «ძიაკ გადურევიხარ და მეტი რაღა გაჩვენოს». ქართლში ხომ კიდევ ასე. ეს მშვენივრად აქვს აღწერილი და აკრეფილი «ხმობელს». სხვათა შორის აღდგომას «ქრისტე აღსდგას» თქმა აკრძალული იყო, უნდა თქმულიყო «მარქსი აღსდგა». (ხმობელი)

გელათის მონასტრის გაძარცვა და იქიდან მეფე დავით აღმაშენებლის ბეჭდის გატაცება წითელი რაზმების საქმე იყო და შედეგი ეკლესიის და მისი მსახურთა ხალხის მტრად გამოცხადება. ათასი წელიწადი იყო ეს საგანძური ამ მონასტერში და [illegible] ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია გელათის გაძარცვა.

ასეთი გზით ხელად მიგვიყვანა დღევანდელ საშინელ ზნეობრივ დაქვეითებამდე. ძველად თუ თვით საქართველოში მტრის წყალობით გაუქმდებოდა ეკლესიას, საქართველოს გარეშე იყვნენ ეკლესია-მონასტრები და იქიდან მოდიოდა სულიერი საზრდო საქართველოში.

წმ. მამები და უაღრესად განსწავლული სამღვდელოება და ბერ-მონაზონი აწვდიდნენ ერს და ეკლესიას მეცნიერებას და სარწმუნოების ახალ ნაკადებს. ძველად მეფეები და მთავრები, მდიდარი და ღარიბი ყველა უხვ შეწირულებით ასაჩუქრებდნენ საზღვარ-გარეთ ტაძარ მონასტრებს, რასაც ახლანდელი მთავრობა და ახლანდელი ქართველობა სირცხვილად, დანაშაულად და ჩამორჩენილობად სთვლის!

ჩვენ არ ვიცით დღევანდელი ოფიციალური წრეები საზღვარ-გარეთ რა სწავლას მიიტანენ ამ მოვლენულ საქმეში, ისარგებლებენ თუ არა ისინი მრუდე კანონით, ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებისას, თუ ისე, როგორც ევროპის განათლებულ ქვეყნების მაგალითისამებრ, გაუწევენ დახმარებას ეკლესიას მისი გაძლიერების დროს, როგორც ერის უდიდეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მისი სულიერი და ზნეობრივი სიფაქიზის შენახვისა და დაცვისას.

რა თქმა უნდა პარიზის ეკლესია ვერ შესძლებს დღეს დღეობით იმ დიდ როლს, რომელსაც ასეთის მონასტრები და სხვ. ასრულებდა, მაგრამ ეს ერთად-ერთი ეკლესიაა საქართველოს გარეშე, უსათუოდ უნდა მაგალითი იქნეს დღევანდელ საქართველოსათვის, თავის ღრმა შინაარსით.

თუმცა ძველად ჩვენი მამა-მთავრები დიდს მონაწილეობას იღებდნენ ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და საზღვარ-გარეთ დიდ დიპლომატიურ მოვალეობასაც ასრულებდნენ, მაგრამ დღეს-დღეობით, ვიდრე დრომდე, ამას — ეს ეკლესია უნდა ჩამოშორდეს. აქედან სრულიად განდევნილ უნდა იქნეს რაიმე პოლიტიკანობა და პარტიობა. ის წმინდა, მყუდრო სავანე-საყუდელი უნდა იქნეს იმ მორწმუნე, სასიკეთო გასაჭირში მყოფ ქართველი ლტოლვილისათვის, რომელიც მოკლებულია საშუალებას თავის საკუთარ მშობლიურ ენაზედ გაიგონოს წირვა ლოცვა და პოლიტიკურ ლაბირინტში ღელვით დამაშვრალი მისი სული სრულიად დაწყნარდეს, დამშვიდდეს და გული მისი, წამით მაინც, მოიცვას ქრისტიანულმა სათნოებამ.

იქ მყოფს და იქიდან გამოსულს უნდა გარემოიცავდეს ქრისტიანული მყუდროება სულისა და ტკბილი მოგონება სამშობლოსი.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მორწმუნე ნაწილი პარიზში მცხოვრებ ქართველებისა, რომელიც შეადგენს მრევლს ამ

დიდს საქმეს მიანდობს უმწიკვლო, წმინდა ღმთის მსახურებისადმი ბუნებრივად, თავისი მოწოდებით განწყობილს, განათლებულს და ყოველგვარ პოლიტიკანობას და საერთო ცხოვრების ინტრიგებს დაშორებულ ადამიანს, რათა მან შესძლოს დღევანდელ მძიმე პირობებშიაც კი ემსახუროს მის მაღალს დანიშნულებას და შეასრულოს წმიდა საღმრთო მოვალეობა.

**მეგობარი.**

---

## ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო.

### წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა
### თ ე თ რ გ ი ო რ გ ე ლ თ ა ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო თ.

ჩვენ ვიბრძვით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ერის დამოუკიდებლობა კი განუყრელია სახელმწიფოსაგან. მაშასადამე თეთრი გიორგი ამასთანავე იბრძვის ქართულ სახელმწიფოს აღსადგენათ.

ჩვენ იდეოლოგიაში ამ ორ საკითხის ერთმანეთიდან გაყოფა უდიდესი შეცდომა იქნება.

თეთრი გიორგი, დამოუკიდებლობის მოპოვების დღეს ვე, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას უნდა შეუდგეს.

ხოლო, ვინც სახელმწიფოს აშენებს, მან უპირველესად უნდა იცოდეს რა არის სახელმწიფო და რა არის უფლება, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციათა განხორციელების პრინციპი და ძალაა.

ყოველი თეთრი გიორგელი მოვალეა ელემენტარულად მაინც შეისწავლოს ეს საკითხები. ეს თანდათანობით უნდა მოხდეს. რადგან თეთრ გიორგელთა უმეტესმა ნაწილმა იურიდიული მეცნიერება არ იცის.

ამ მიზნით, სახელმწიფოზე, მე ჯერ, ეს სულ მოკლე და ელემენტარული სახელმწიფო დავსწერე. შემდეგში, აგრეთვე მოკლეთ, დავწერ «სამართალზე» და «საკონსტიტუციო სამართალზე».

როდესაც თეთრი გიორგელები ამ საკითხებს ესე ელემენტარულად გაეცნობიან, მაშინ მათ უფრო ფართედ და უფრო მეცნიერულად განვიხილავ ვრცელ სახელმძღვანელოებში.

## სახელმწიფო. (1)

როგორც გეომეტრიის საგანს შეადგენს სივრცე და ნატომიის სულიერთა სხეული, ეგრეთვე არსებობს იურიდიული მეცნიერებათა ერთი დარგი, რომლის საგანია სახელმწიფოს საერთო ხასიათის შესწავლა. ამ მეცნიერებას ფრანგი იურისტები უწოდებენ: **Droit public général**; გერმანელები: **Allgemeins Staatsrecht**; ქართულად: ს ა ე რ თ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი.

განსხვავებაა «საერთო სახელმწიფოებრივ სამართლის» და «სახელმწიფოებრივ სამართლის» შორის. ამ უკანასკნელის მიზანია რომელიმე განსაზღვრულ სახელმწიფოს შესწავლა. მაგალითად თუ ჩვენ ვიხილავთ საქართველოს სახელმწიფოს, ამით ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს სახელმწიფოებრივ სამართალს: თუ ვიხილავთ გერმანულ სახელმწიფოს ე. ი. მის კონფედერაციის ხასიათს, მის ადგილობრივ და საერთო პარლამენტს, ადმინისტრაციას, სახელმწიფო დაწესებულებებს, ჩვენ ვსწავლობთ და ვეცნობით გერმანულ სახელმწიფოებრივ სამართალს ანუ, როგორც მას, ამ ბოლო დროს, გერმანელი მეცნიერები **Laband-; Schulze, Gerber**-ი და სხვანი უწოდებენ: **Deutsches Staatsrecht**; თუ ვეცნობით საფრანგეთის სახელმწიფოს ჩვენ ვსწავლობთ: **Droit public français** --ს, ე. ი. საფრანგეთის სახელმწიფოებრივ სამართალს.

ხოლო «საერთო სახელმწიფოებრივ სამართლის» საგანს შეადგენს, როგორც ზემოთა ვსთქვით, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა ს ა ე რ თ ო ტ ი პ ი ს, საერთო ხასიათის შესწავლა. არსებობენ საერთო პირობები, საერთო ელემენტები, რომელნიც აუცილებელია ყოველ სახელმწიფოსათვის და ყველა მათგანს სჭირდება. მაგალითად: ყ ვ ე ლ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ა ქ ვ ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი (ანუ ჩასახვა, დაბადება, წარმოშობა); ტ ე რ ი ტ ო რ ი ა; ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი და სხვა და სხვა. ამ ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა. აი, სწორეთ სახელმწიფოთა ამ საერთო ხასიათის შესწავლა საგანი და დანიშნულება «საერთო სახელმწიფოებრივ სამართლის». ჩემი მიზანია აქ, სწორეთ, ამ თვალსაზრისით განვიხილო სახელმწიფო და მაშასადამე «საერთო სახელმწიფოებრივ სამართალს მივმართო. თუ ზემოთ «სახელმწიფოებრივ სამართალს» შევეხე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამნაირ პარალელით მკითხველთათვის უფრო ნათელ მეყო «საერთო სახელმწიფოებრივ სამართლის» საგანი.

უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოთა საერთო ხასიათს შეადგენს სამი ელემენტი. უამათოდ სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. ეს სამი ელემენტი შემდეგია: 1) ხალხი; 2) ტერიტორია; 3) პოლიტიკური ორგანიზაცია. (2)

---

(1) მე ვცდილობ რაც შეიძლება პოპულიარულად ავხსნა სახელმწიფოს შინაარსი, რათა საშუალო მკითხველთათვის ადვილი გასაგები იყოს; მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს ძალიან ძნელი ამოცანაა; რადგან იურიდიული მეცნიერება მთლათ რთული პრინციპებიდან შესდგება.

(2) აქ ამ სამ ელემენტს მხოლოდ ვიხსენიებ შემდეგ წერილებში კი განვიხილავ თუ რას წარმოადგენენ, ან რა როლს თამაშობენ სახელმწიფოში: ხალხი, ტერიტორია, პოლიტიკური ორგანიზაცია.

## სახელმწიფოს წარმოშობა. (Genèse de l'État)

მრავალი თეორია არსებობს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ყველას განხილვა მეტად შორს წაგვიყვანს და, რაც შესაძლებელია, გაზეთის სტატიებში მხოლოდ უმთავრეს თეორიებს შევეხები.

ყველაზე შესანიშნავია «ხელშეკრულობის თეორია», (**Théorie contractuelle de l'Etat**) ეს თეორია მე 16 საუკუნეში ჩაისახა, ნელ-ნელა განვითარდა და თავისი დასრულებული სახე მიიღო ჟ. ჟ. რუსოს მიერ მე 18 საუკუნეში, მის ცნობილ «სოციალურ ხელშეკრულობაში. (**Contrat social**)

საჭიროა თავიდანვე აღვნიშნო, რომ რუსოს თეორიის მეთოდი არ არის ემპირიული, არამედ სავსებით მეტაფიზიკურია. ამ თეორიების შეხედულებით სახელმწიფო დამყარებულია ხელშეკრულების დამდებთა ინდივიდუალურ ნებაზე; ე. ი. განსაზღვრული რიცხვი ინდივიდთა თავისუფლად და თავის ნებით სდებენ ხელშეკრულობას (კონტრაქტს — **Contrat**) შეადგინონ საზოგადოება, სახელმწიფო, რომლის წიაღში შეერთებულ ძალებით, ენერგიით იმოქმედებენ და იცხოვრებენ.

რუსოს შეხედულებით ინდივიდუალური უფლება გარდუვალია, ე. ი. მისი გაუქმება არასდროს, არავითარ ინდივიდის გარეშე მდგომ ძალას არ შეუძლიან. მაშასადამე, როგორც ინდივიდუალურ უფლების ძალით დაარსდა სახელმწიფო, ისევე, იმავე ძალით, შესაძლებელია მისი გაუქმება.

რუსოს «სოციალურ ხელშეკრულობის» თეორია ინდივიდუალისტური თეორიაა. თუ დავუშვებთ მას, რომ სახელმწიფო დაარსდა ინდივიდუალურ ხელშეკრულობის შედეგათ და ძალით, მაშინ აბსტრაქციაში მაინც, ფიქრით მაინც უნდა უსათუოდ დავუშვათ, რომ სანამ ადამიანი დაარსებდა საზოგადოებას და სახელმწიფოს ის ცხოვრობდა საზოგადოების გარეშე.

მაგრამ ადამიანი საზოგადოების გარეშე, გარეშე ყოველგვარ სოციალურ კანონებისა, დაპირდაპირებული მხოლოდ ბიოლოგიურ კანონებთან ყოვლად წარმოუდგენელია, თვით ფიქრში და აბსტრაქციაშიც კი. არისტოტელის აზრი, რომ ადამიანი სოციალური ცხოველია, არის ურღვევი და ურყევი სიმართლე. ადამიანი დაბადებით სოციალური ქმნილებაა და საზოგადოების გარეშე ცხოვრება ეწინააღმდეგება მის ბუნებას.

ჩვენ ემპირიულ საუკუნეში მიუღებელია მეტაფიზიკური მეთოდით ვიხელმძღვანელოთ სახელმწიფოს შესწავლის დროს. სახელმწიფოს წარმოშობის ახსნა სხვა გზით უნდა მოიძებნოს. ამ საკითხს და რუსოს თეორიას მე კიდევ დავუბრუნდები, ხოლო მომავალ წერილში შევეხები სპენსერის თეორიას სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

* * *

რუსოს «ხელშეკრულების თეორიის» მიხედვით სახელმწიფოც და საზოგადოებაც ინდივიდუალურ სურვილთა შეთანხმების შედეგათ წარმოიშვნენ.

მაშასადამე ეს თეორია ორ სხვა და სხვა მცნებას, სახელმწიფოს და საზოგადოებას ერთმანეთში ურევს, მეორე მხრივ ვინაიდან, ამ თეორიის აზრით, სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია საზოგადოების წევრთა უმრავლესობის სურვილზე ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ამნაირი სახელმწიფოს ნიადაგი მკვიდრი და მტკიცე არ იქნებოდა და ის არსებობის ს ა კ უ თ ა რ წყაროს მოკლებული იქნებოდა, რასაც სინამდვილეში ალაგი არა აქვს.

საზოგადოების და სახელმწიფოს ერთმანეთში შერევა ღრმა შეცდომაა. საზოგადოებას შეუძლიან უსახელმწიფოდ და მაზედ ადრე არსებობა. ამის მაგალითები დღესაც მრავალია. ადამიანს საზოგადოების გარეშე არასდროს არ უცხოვრია და არისტოტელის აზრი, რომ ადამიანი სოციალური ცხოველიაო, უდაო სინამდვილეა. პირიქით, ადამიანს შეუძლია იცხოვროს სახელმწიფოს გარეშე.

ამნაირად თუმცა საზოგადოებას და სახელმწიფოს ბევრი აქვთ საერთო, მაინც ეს ორი სხვა და სხვა მოვლენაა.

რუსოს თეორიის გარდა არსებობს მეორე არა ნაკლებ ცნობილი თეორია. ამ უკანასკნელს მეცნიერები «სოციოლოგიურ თეორიას» უწოდებენ.

ეს თეორია ჯერ კიდევ ოგუსტ კონტის «პოზიტიურ სისტემაში» ჩაისახა, ხოლო სპენსერმა ისე საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის, ისეთი დასრულებული ფორმა მისცა, რომ მას სპენსერის თეორიათ სთვლიან.

ცნობილია, რომ მრავალი ნატურალისტი და ფიზიოლოგისტები და მათ შორის უდიდესი, დარვინი, ამტკიცებენ, რომ ადამიანის ორგანიზმი ბუნებრივ ევოლიუციის (**évolution naturelle**) შედეგიაო. ხოლო, სპენსერი ამ თეორიას სახელმწიფოზედაც ავრცელებს და ამტკიცებს, რომ სახელმწიფოც იმავე ბუნების კანონს ემორჩილებაო.

სპენსერის აზრით სახელმწიფო საზოგადოების ორგანიზმის ინტეგრაციის ორგანოა და მასაც იგივე ბუნებრივი კანონები განაგებენ, რომელნიც განაგებენ საერთო ევოლიუციას. ეს კანონები უმთავრესად ორია: ბ რ ძ ო ლ ა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს და გ ა რ ე მ ო ს თ ა ნ შ ე გ უ ე ბ ა. (**adaptation au milieu**)

სპენსერის «სოციოლოგიურ თეორიის» კრიტიკა ძალიან შორს წაგვიყვანდა და ამ ელემენტარულ სახელმძღვანელოს ფარგლებს გადასცილდებოდა, ამიტომ, აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იურისტისათვის ის ყოვლად მიუღებელია. მიუღებელია იმიტომ, რომ სპენსერის თეორია სოციალურ და ბიოლოგიურ კანონთა შორის განსხვავებას არ აკეთებს. გარდა მაგისა, როგორც საფუძვლიანად ამტკიცებს დიდი იურისტი ორლანდო, სპენსერის თეორიის ნიადაგი წმინდა მეტაფიზიკურია.

სახელმწიფოს გაჩენის ასახსნელად უფრო მისაღები და უფრო სწორი ისტორიული მეთოდი ანუ ისტორიული სკოლაა. (**Ecole historique**) ეს სკოლა გერმანელ იურისტ სავინის (**Savigny**) მიერ არის შექმნილი, ხოლო თავის განვითარებას ამ სკოლამ შემდეგ, მრავალ მეცნიერთა თხუზულებებში მიაღწია, რომელთა შორის ელლინეკი და ორლანდო უმთავრესნი არიან.

ისტორიული მეთოდი სახელმწიფოს თეორიას შემდეგნაირად ხსნის. როდესაც ვსწავლობთ ხალხთა ისტორიულ განვითარებას ვხედავთ, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციის ფორმებს ერთნი მათგანნი აღწევენ მალე, მეორენი მოგვიანებით და ზოგნი კი ვერასდროს. პოლიტიკურ ფორმებს ხალხი ჰქმნის მხოლოდ მაშინ, როდესაც ცივილიზაციის განსაზღვრულ საფეხურზე ადის. ხოლო ყველა ხალხი ერთსა და იმავე ტემპით ვერ აწევს ცივილიზაციას. სავსებით პრიმიტიულ ხალხს არა აქვს პოლიტიკური ფორმაცია. აგრეთვე ის ხალხი, რომელნიც ურჩნი არიან ცივილიზაციისა, ან სულ ვერასოდეს ვერ ჰქმნიან პოლიტიკურ ფორმებს, ან ჰქმნიან პრიმიტიულად და პრიმიტივიზმის ფარგლებიდან ვერ გამოდიან. მაგალითად, რუსის ხალხი ყოველთვის, როდესაც მას უცხოელები არ ეხმარებოდნენ სახელმწიფოს მოწყობაში — ჯერ ვარიაგებმა მოუწყეს კიევის და მოსკოვის სამთავროები, მერე გერმანელებმა მთლიან რუსეთის მონარქია და გამოდიოდნენ მათი გავლენიდან, ყოველთვის ანარქიის ქაოსში ეხვეოდნენ ან ჰქმნიდნენ ბოლშევიკურ სახელმწიფოს ტიპს. ე. ი. იმისთანა პოლიტიკურ ფორმას, რომელს ნიადაგათ სამართალი არ უძევს. ის სახელმწიფო კი რომლის უმთავრეს ნიადაგათ სამართალი არ არის, წარმოადგენს ბარბაროსულ სახელმწიფოს ტიპს.

მაშასადამე პოლიტიკური ფორმის განვითარების საფეხური (**perfectionnement**) დამოკიდებულია ამა თუ იმ ერის კულტურულ ღირებულებაზე, ცივილიზაციაზე, ნიჭზე, გენიაზე. ამნაირად, დღეს, სახელმწიფოს უმაღლესად განვითარებულ ფორმებს მხოლოდ არიელთა უმთავრესმა მტოებმა მიაღწიეს. (1)

ამისთანა განსხვავება ყოველთვის არსებობდა. ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ასურელთა, სპარსთა, ფინიკიელთა, ეგვიპტელთა მაღლად განვითარებულ სახელმწიფოს გვერდით არსებობდნენ არაბეთის და სირიის ნომადი არაბები, ხორასანის, მონღოლეთის და სხვა თემები, რომელთ თითქმის სახელმწიფოს ჩანასახიც კი არ ჰქონიათ.

ანტიურ ხანაშიც ამისთანავე პოლიტიკურად მოუწყობელ ხალხებს მრავალს ვხედავთ ათინის, რომის, კართაგენის, პონტის, იბერიის და სხვა სახელმწიფოთა გვერდით.

დღესაც იგივე სურათია: ცალი მხრივ ევროპიელ სახელმწიფოების უმაღლესი ფორმები თავისი რთული მექანიზმით და მეორეს მხრივ ცენტრალურ აფრიკის ან პოლინეზიის თემები, რომელთ პოლიტიკურ ფორმებს სახელმწიფოსთან თითქმის საერთო არაფერი არა აქვთ.

მაშასადამე სახელმწიფო, ვით საზოგადოება, განიცდის თანდათანობით ევოლიუციის პროცესს.

რა არის სახელმწიფოს პირველყოფილი საფუძველი? აი რას ამბობს ამის შესახებ იტალიის უდიდესი იურისტი ორლანდო: (2) «არიელთა ანტიურ დროის შესწავლა» «შედარებითი ფილოლოგიის» მეთოდის საშუალებით, საკმარისია მის დასამტკიცებლათ, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციის პირველი ფორმა ოჯახი იყო. (3)

«რა თქმა უნდა არა ოჯახი ხავსებით დღევანდელი სახით, არამედ ოჯახი როგორც ერთი პატარა ორგანიული ერთეული, რომელიც ოჯახის უფროსის (ანუ მამასახლისის) ავტორიტეტის ქვეშ იმყოფება; (4)

---

(1) რა თქმა უნდა გამონაკლისები არსებობენ. მაგალითად იაპონელებმა დღეს და, ჩინელებმა წარსულში, შესძლეს კულტუროსან სახელმწიფოთა შექმნა, მაშინ როდესაც არსებობენ არიელთა თემები, რომელთ დღემდე ვერავითარი პოლიტიკური ფორმები ვერ შეჰქმნეს. თვით რუსები არიელნი არიან, მაგრამ საკუთარი ხელებით და თავით მხოლოდ ბარბაროსულ სახელმწიფოს ჰქმნიან და კულტუროსანს ანგრევენ, რადგან ვერ ითვისებენ, ვერ ეგუებიან.

(2) ნახე: **Orlendo** (ფრანგულათ) **Principes de Droit Public et Constitutionnel P. 30.**

(3) საჭიროა თეთრი გიორგელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ოჯახის ამ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. რაც შეეხება ოჯახის როლს საერთოდ საზოგადოების კულტურულ განვითარებაში ამაზე დავსწერ შემდეგში შრომას, სადაც დავანახვებ მკითხველს რომ ოჯახი არის ერთად-ერთი და უმთავრესი აკვანი ცივილიზაციისა. ყოველივე ეს ნათლად დაანახვებს თეთრ გიორგელებს რა მავნე და დამღუპველ როლს თამაშობენ ჩვენში მარქსისტები, როდესაც ქადაგებენ ოჯახის დანგრევას. არამც თუ ქადაგებენ, არამედ მთელი სისტემა მარქსიზმისა აგებულია საზოგადოების ანტი-ოჯახურ და ანტი-ეროვნულ ორგანიზაციაზე.

(4) ამის შესახებ ყველას ურჩევ წაიკითხოს: **Fustel de Coulanges**-ის «**Cité Antique** სადაც **Pater Familias** (მამა-სახლისის) როლი და ოჯახის ორგანიზაცია უდიდეს ნიჭით არის დახასიათებული. ეს თხუზულება ყველასათვის მისაწვდომ ენით არის დაწერილი და თეთრ გიორგელებს დიდ სარგებლობას მოუტანს. გარდა მაგისა: **Girard-: Droit romain**» აქედან

მისი წევრნი მრავალ რიცხვანნი იყვნენ; ის არა მხოლოდ შვილებიდან და შვილიშვილებიდან შესდგებოდა, არამედ გარეშე პირთაგანაც, რომელნიც რომელიმე ოჯახს შეეხიზნებოდნენ ხოლმე, რათა იქ საკვები და მფარველობა ეპოვნათ; ოჯახის მთელი ქონება ორგანიულად დაკავშირებული იყო თვით ოჯახთან, კავშირის იმავე მინაარსით, როგორითაც ტერიტორია დაკავშირებულია სახელმწიფოსთან.» (ქვემოთ აღნიშნულ თხზულებებში ვე განმარტებულია ხიზნების (clientèle) ინსტიტუტი).

პოლიტიკურ ორგანიზაციის განვითარების ამ პირველ სტადიას მოსდევს მეორე. აქ უკვე არა მხოლოდ ერთი ოჯახი არამედ რამდენიმე, ზშირად მრავალი ოჯახი ერთმანეთთან არიან შეკავშირებულნი და ემორჩილებიან ერთსა და იგივე პირის ავტორიტეტს ან სათემო ყრილობისას. ეს არის თემი (tribu, gens). ამნაირ კავშირის შემაერთებელი ძალაც, როგორც პირველ სტადიაში, სისხლით ნათესაობაა. (1)

ამას მოსდევს მესამე სტადია, აქ უკვე ერთი ავტორიტეტისადმი დამორჩილებას სავსებით პოლიტიკური ხასიათი აქვს ე. ი. ნათესავურ ფარგლებიდან გამოსულია. ჩნდება სუვერენული ძალა, რომლისადმი დამორჩილება სავალდებულოა განსაზღვრულ ადათის კანონების ძალით. ეს ძალა სახელმწიფოა.

ამნაირად სახელმწიფო იშვა ოჯახიდან და თავისი გარკვეული სახე მესამე სტადიაში მიიღო.

მაშასადამე სახელმწიფო ისტორიულ ევოლიუციის შედეგია.

სახელმწიფო როგორც ყოველი ორგანიზმი იბადება, ვითარდება, განიცდის დაქვეითებას, კვდება.

ამნაირად სახელმწიფო არც რაიმე ხელშეკრულების შედეგია, როგორც ფიქრობს რუსო, არც შედეგი იმ ბუნებრივ კანონების, რომელნიც ადამიანის ორგანოს ევოლიუციას განაგებენ. არამედ მასა აქვს წარმოშობის საკუთარი წყარო და ემორჩილება არა ბუნებრივ არამედ ისტორიულ ევოლიუციის კანონებს.

აი რატომ იმ სკოლას, იმ მეთოდს, რომელიც ჰქადაგებს ამ სინამდვილეს ისტორიული სკოლა ან მეთოდი ეწოდება.

აქ უნდა, სხვათა შორის, აღვნიშნო, რომ სახელმწიფო განიცდის მუდმივ ევოლიუციას. (2) მის ფორმებმა საუკუნეთა განმავლობაში მიაღწიეს თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებულ და რთულ ფორმებს.

---

მხოლოდ ორი ნაწილი: **Histoire du droit Romain** და **Personnes et Famille**; **Accarias : Droit Romain** პირველი ნაწილი: **Personnes et Famille** და **Gaston de May : Droit Romain - Personnes et famille** ეს უკანასკნელი თხზულება უფრო მისაწვდომია, და მოკლეც, არა იურისტ მკითხველთ ათვის.

(1) ამისთანა თემები დღესაც მრავალია. მე თვითონ პირადათ მივხვდრია ამისთანა თემებთა შორის არაბეთს, სირიაში, მესოპოტამიაში, ქურთისტანში და კავკასიაში და შემისწავლია ბევრი მათგანი, როგორც შაპარები, ეზიიდები, პაჰაბიტები, დრუზები, ბედუინები, ფელახები ქისტები, ხევსურები. მაგალითად დრუზები ორ თემათ იყოფიან თუმცა მათი რიცხვი 200 000 გადააჭარბებს თვით ჯებელ დრუზეთში, ერთ თემს შეადგენენ ატრაშები (გვარია) და მეორეს ჰელავები. ატრაშების მამასახლისი «პატერ ფამილიას» (**pater familias**) სულთან ატრაშია, ის რომელიც ფრანგებს აუჯანყდა 1924 წელს. ჩვენი ხევსურებიც ორ თემათ იყოფიან: ჰინჭარაულები და არაბულები. მათ ხევის ბერები ან კიდევ ყრილობები განაგებენ. ეს ხევის ბერები და სახალხო ყრილობები შეიძლება გერმანელ ხალხთა თემების «პრინცეპს პაგებს» და «ლანდგემაინებს» შევადაროთ. როდესაც მე ხევსურეთს ვიყავ ჰინჭარაულებს განაგებდა და მათი პრინცეპს პაგი სულხან ჰინჭარაული — გოგოთურის შვილი იყო. დიდი ვაჟკაცი და ჭკვიანი ჯერ სულ ახალგაზრდა. 1922 წელს თავი მოიკლა, რადგან ბიძაშვილი შემოაკვდა შემთხვევით. ამ მეონი დღეს ჰინჭარაულებს მისი მამა გოგოთურ ჰინჭარაული უნდა განაგებდეს. ქისტებსაც ყოველივე შემთხვევაში მითხოვს, მალქისტიის ქისტებსაც თითქმის იმნაირივე ორგანიზაცია აქვთ.

ყველა ზემო აღნიშნულ ხალხის, თემების ცხოვრების ორგანიზაცია და მათი ადათოვრივი სამართალი მეს წავლილი მქონდა ადგილობრივ და აღწერილი 2000 მეტს ხელთ-ნაწერ გვერდზე, მინდოდა მათი დამუშავება და ფრანგულად გამოცემა, მაგრამ ყოველივე დამეკარგა ტფილისში ბოლშევიკების შემოსვლის დროს.

(2) რასაკვირველია ნორმალურ პირობებში. არანორმალურ პირობებმა, ომმა, შემოსევამ, გარბაროსების ბატონობამ და სხვა შეიძლება სახელმწიფო დააქვეითოს. მაგალითად დავითის, თამარის, ლაშა გიორგის ე. ი. ოქროს ხანის, ქართული სახელმწიფო მაღლად განვითარებული იყო და დიდის ნაბიჯით მიდიოდა წინ, ხოლო მონღოლთა შემოსევამ საშინელ კატასტროფაში შთანთქა ის და ჩვენი სახელმწიფო თავის სიკვდილამდის ფეოდალურ ფორმებიდან ვეღარ გამოვიდა. ამის შესახებ ურბნელი: «მეგლის დება» - მეტად შესანიშნავი თხზულებაა. ავტორი აღწერს როგორ მონღოლები ხელს უწყობდნენ საქართველოში ფეოდალურ დაქუცმაცებას დამპყრობელთა იმ მუდმივ მეთოდის სახელით, რომელზედ რომაელები იტყოდნენ ხოლმე: **Divide at regnes**. სამწუხაროდ ურბნელის წიგნი ხელთ არა მაქვს და ეხლა ის დიდი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

როდესაც რომელიმე სახელმწიფო კვდება. მსგავსად რომისა, ნინევიისა, ათინისა, პონტისა, იგვიპტისა და სხვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ფორმები, რომელნიც მათმა ევოლიუციამ შექმნა კაცობრიობისათვის იკარგებოდეს. მკვდარ სახელმწიფოს არსებული ან მომავალი სახელმწიფოები უჩნდებიან მემკვიდრეებათ, ითვისებენ მათ მიერ შექმნილ ფორმებს და სამართალს და ანვითარებენ მას. როგორც ჰელადის ცივილიზაცია და ხელოვნება აღსდგა მკვდრეთით «აღორძინების ხანის» სახით და საფუძვლად დაედო თანამედროვე ცივილიზაციას, ეგრეთვე ანტიურ რომის, ათინის სპარსეთის სახელმწიფოების ფორმები და სამართალი, თუმცა ეს სახელმწიფონი დიდი ხანია ისტორიის სასაფლაოზე დაიმარხნენ, ნიადაგათ დაედვნენ დღევანდელ სახელმწიფოებს. დღეს ყველა კულტურულ ერთა კანონმდებლობა რომის სამართლის პრინციპებზეა დამყარებული და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების უმთავრესი წყარო, დღესაც «თორმეტი ტაბულა» და «**Corpus Jesus Civilis** - ია.

ამნაირად მსოფლიო მაშტაბში, სახელმწიფოს პრინციპები და სამართალი არ კვდებიან, არამედ განიცდიან მუდმივ ევოლიუციას.

## II

### ტერიტორია. ხალხი. პოლიტიკური ორგანიზაცია

(ანუ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.)

დასაწყისში აღვნიშნე, რომ სახელმწიფო სამი ელემენტიდან შესდგება. ესენი არიან: ტერიტორია, ხალხი, პოლიტიკური ორგანიზაცია.

განვარჩიოთ ცალ-ცალკე რას წარმოადგენენ ეს ელემენტები.

### ტერიტორია. (1)

ტერიტორია ეწოდება იმ მიწა-წყალს რომლის სივრცეზე განსაზღვრული სახელმწიფო თავის უფლებას ახორციელებს. ე. ი. მას განაგებს და მართავს თავის სურვილისამებრ.

კერძო მესაკუთრეს, მაგალითად სახლის ან ვენახის პატრონის უფლებას, იურიდიულ თვალსაზრისით, ორი მხარე აქვს: უარყოფითი და დადებითი. უარყოფითი მდგომარეობს მასში, რომ მეორე პირს უფლება არა აქვს მესაკუთრეს საკუთრებას შეეხოს. დადებითი მხარე კი მდგომარეობს მასში, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს საკუთრება თავის სურვილისამებრ განაგოს.

სახელმწიფოსაც ამასთანავე უფლება აქვს საკუთარ ტერიტორიაზე. (2) მას გარეშე ძალა ე. ი. მეორე სახელმწიფო ვერ შეეხება. თუ შეეხო ეს იქნება ძალადობა, რაც უფლების გარეშე სდგას. მაგალითად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსია არა უფლებრივი აქტი იყო, რადგან ის მოხდა საქართველოს სახელმწიფოს სურვილის წინააღმდეგ. ამისთანა ფაქტებით ისტორია სავსეა. ჩვენი ცხოვრებიდან კი მოვიყვან შემდეგს: 1920 წელს, როდესაც სასომხეთი გაკომუნისტდა (იქ რუსების მიერ ძალათი ოკუპაცია არ მომხდარა) ჩვენმა მთავრობამ ისარგებლა სომხეთის შინაკან არეულობით და ლორის მიმართულებით სასომხეთის ტერიტორიის ნაწილი დაიჭირა **manu militari**, რაც ყოვლებვარ უფლებას მოკლებული იყო.

ხოლო თვით სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე სრული უფლება აქვს მაზედ მცხოვრებნი არსებულ და მისვანვე მიღებულ, ცნობილ კანონებით განაგოს.

ამიტომ, ერთსა და იგივე ტერიტორიის ფარგლებში მხოლოდ ერთი სახელმწიფოს არსებობა შეიძლება.

### ხალხი. (3)

საერთო ჯამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა წარმოადგენს ხალხს. შეიძლება ითქვას შემდეგნაირად: სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა საერთო ჯამს ეწოდება ხალხი ანუ მოსახლეობა.

სახელმწიფოში ხალხი ორნაირ როლს თამაშობს: სუბიექტიურს და ობიექტიურს.

ხალხის სუბიექტიური როლი მდგომარეობს მის მიერ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და კანონმდებლობაში მონაწილეობის მიღებაში. საბოლოოდ, სახელმწიფოს ნების ყოფლობის და სუვერენიტეტის კონკრეტიული გამომხატ-

---

(1) ვილსონი თავის ცნობილ თხზულებაში «სახელმწიფო» ამტკიცებს, რომ სახელმწიფო შეიძლება უტერიტორიოთ არსებობდეს და მაგალითებათ ნომადები მოჰყავს. მაგრამ ეს დიდათ შეცდარი აზრია და მას არც ერთი დიდი იურისტი არ ეთანხმება. სამწუხაროთ ვილსონის თხზულება ხელთ არა მაქვს და ამიტომ საჭირო ფურცლებს ვერ აღვნიშნავ.

(2) მე კერძო მესაკუთრე სახელმწიფოს მხოლოდ და სასურათებლად და მოუმზადებელ მკითხველთათვის ადვილად გასაგებათ მოვიყვანე. ხოლო ამ ორთა შუა უფლებაში დიდი განსხვავებაა. აქ ვერ ვამოუდგები ამ განსხვავებათა განმარტებას, ეს შორს წაგვიყვანს და არა სპეციალისტი ვერ გაიგებს. ამის გასაგებათ საჭიროა ცოდნა რას ნიშნავს და **Dominium** რას **Imperium**, რასაც მხოლოდ იურისტი მიხვდება.

(3) მეხუთე ან მეექვსე თავში განვიხილავ რა განსხვავებაა ერსა და ხალხს შორის.

ველი ინდივიდია.

ხალხის სუბიექტიური როლის თეორია განვითარდა უფრო ჟანჟაკ რუსოს მიერ და თანამედროვე სახელმწიფოში ასე თუ ისე განხორციელდა.

თავის «სოციალურ ხელშეკრულებაში» ჟ. ჟ. რუსო ყოველ ინდივიდს ორნაირ ვინაობას აძლევს ანუ, უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, მისი მდგომარეობის ორ მხარეს ახასიათებს: ინდივიდი — მოქალაქე (**citoyen**) და ინდივიდი — ქვეშევრდომი (**sujet**). ინდივიდი როგორც მოქალაქე მონაწილეობას იღებს საერთო ნებისყოფლობის შექმნაში. მაგალითად: საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტა საქართველოში დემოკრატიული კონსტიტუციის შემოღება. ეს არის საერთო სურვილი და ამ საერთო სურვილის შექმნაში ყველა ქართველი პირდაპირ — დეპუტატი, თუ არა პირდაპირ — ხმის მიმცემი, ამომრჩეველი, იღებს მონაწილეობას. რა თქმა უნდა დემოკრატიულ რეჟიმში ყოველივე ეს ფიქციაა და მოქალაქის ეს როლი უფრო თეორეტიულია ვიდრე ცხოვრების სინამდვილე. მაგრამ ამ საკითხს მე «საკონსტიტუციო სამართლის სახელმძღვანელოში შევეხები.

ინდივიდი როგორც ქვეშევრდომი ვალდებულია საერთო ნებისწოფას დაემორჩილოს.

ინდივიდის, ხალხის ობიექტიური როლი სახელმწიფოში კონკრეტიულად მდგომარეობს მის მიერ ყოველგვარ გადასახადების გადახდაში და სამხედრო ბეგრის გაღებაში, არსებულ კანონებისადმი დამორჩილებაში.

### პოლიტიკური ორგანიზაცია.

სახელმწიფო წარმოუდგენელია უმართავ გამგეოდ. საჭიროა სახელმწიფოს შინაგანი მოწყობა, რაც კანონმდებლობით და მართვით ე. ი. ადმინისტრაციით, ხორციელდება; საჭიროა სახელმწიფოს დაცვა გარეშე მტერთაგან — ხორციელდება არმიის შექმნით; საჭიროა გარეშე პოლიტიკის წარმოება და სხვა და სხვა.

ხოლო, ყოველ ზემო აღნიშნულის კონკრეტიულად განხორციელებისათვის საჭიროა რთული სახელმწიფოებრივი აპარატი თავისი დაწესებულებებით, მოხელეებით, ადმინისტრაციით, სარდლებით და სხვა და სხვა.

ყოველივე ამას ეწოდება პოლიტიკური ორგანიზაცია.

დასკვნა პირველი ორი თავისა: ამ ორ თავში ნათქვამიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს. ყველა წარსულ და თანამედროვე სახელმწიფოთა შესწავლიდან შესაძლებელია გამოყვანა იმ საერთო კანონებისა, რომელნიც ყველა სახელმწიფოს ბუნებას ახასიათებენ. აქამდის მხოლოდ განვიხილეთ ორი შემდეგი კანონი: 1) ყოველ სახელმწიფოს აქვს დასაწყისი—დაბადება და ყველა მათი დაბადების წყარო ერთი და იგივეა. 2) ყოველ სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია სამი ელემენტი: ტერიტორია, ხალხი, პოლიტიკური ორგანიზაცია. ამ სამ ელემენტის გარეშე სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია.

მაშასადამე, ეხლა უფრო ნათლად სჩანს «სახელმწიფოებრივ სამართლის მეცნიერების» **Droit public général** საგანი: ის სწავლობს სახელმწიფოთა საერთო ხასიათს.

ლ. კერესელიძე

---

### პატარა ფელეტონი.

მეხშევიკის ალილო.

ურწმუნო ვარ და ურჯულო,
არ მრწამს ღმერთი, არცა ხატი
მე ახალს ვქმნი ღმერთებს, კერპებს!
ვარ სოციალ—დემოკრატი.

ტლიკინა და ენა გრძელი,
საქმეში ვარ მეტად გლარტი,
ენით შევქმნი მე სამოთხეს,
ვარ სოციალ-დემოკრატი.

არ მრწამს ერი, არც სამშობლო
სადაც ვმღერი იქვე დავხტი,
კუჭის საკვებს მხოლოდ ვეძებ,
ვარ სოციალ—დემოკრატი.

თუმცა მდევნი და არა მრწამს
დიდი კაცი ბიუროკრატი,
მაგრამ... მიყვარს მინისტრობა
ვარ სოციალ—დემოკრატი.

მუშებს, გლეხებს მე ვპატრონობ
ვარ იმათი «კანდიდატი»;
მათ ვაბრძოლებ—მე ვბატონობ,
ვარ სოციალ—დემოკრატი.

კარგათ ჩაცმას სხვას უწუნებ,
მე თითონ ვარ კოხტა—ფრანტი,
ულვაშ «მოდნათ» მოვიპარსავ,
ვარ სოციალ—დემოკრატი.

თუ დამჭირდა ფერსაც ვიცვლი,
ძვალგებადი ვარ ვით მარტი
«ხან იმდენათ, ხან ამდენად»
ვარ სოციალ—დემოკრატი.

სხვის ქონებას ძლიერ ვეტრფი,
ხელში ვიგდებ ვიცი კვანტი.
ჩემიც—ჩემი, შენიც—ჩემი
ვარ სოციალ—დემოკრატი.

კ. დ.

## სისხლიანი ფურცლები (აჯანყების ისტორიიდან.)

საღამოს 9 საათი იქნებოდა როდესაც დაღლილნი და დაქანცულნი რუსის ჯარის კაცებმა თელავის საპატიმროს მიგვიყვანეს. გაიღო დიდი კარები ციხის, გაიღო და კვლავ მიიკეტა. კვლავ ციხეში ვარ, მიცქერიან მოღუშული და ნაღვლიანი ციხის კედლები. კვლავ მაგარი მუხის ფიცრის საწოლები. ციხე, სადაც მეფობს დუმილი, სადაც სუფევს დარდი; ციხე მიტოვებული სამყაროსაგან, მოშორებული სიცოცხლეს.

«მოათავსეთ ათივე (ჩვენ ათნი ვართ) მე-7 დე საკანში, იქ მხოლოდ ერთი პატიმარი ღაა, დანარჩენები წუხელ ჩაჰბარდნენ პატრონს» ისმის ბრძანება ციხის უფროსის. «ჩქარა, ჩქარა ნესტიანი საკანი, ჩქარა მაგარი ხის საწოლი» ვფიქრობ ჩემთვის. მსურს დასვენება დაღლილს ფიზიკურად, დაღლილს სულიერად. მსურს ფიქრი, მარტოობა.

შევდივართ საკანში სადაც ნახევრად ბნელა. ოდნავ და ნაღვლიანად ბჟუტავს ჭრაქი. კარების ხმაურობაზე საკანში ვიღაცამ გაიღვიძა. იგი წამოჯდა და თვალები ჩვენ მოგვაშტერა. თუმცა საკანი ნახევრად ბნელია, მაგრამ მე მაინც ვხცნობ ამ თვალებს მუდამ ცოცხალს და ჭკვიანურს. «ელიზბარ გამარჯობა» შემომესმა ხმა და მეც ხელგაშვერილმა მისკენ გავსწიე. მაგრამ ხელი ჩამოართვა. ვიცან ყველასგან პატივცემული, ჩემი მასწავლებელი ბ-ნი გიორგი ციცქიშვილი. მისმა გამჭრიახმა ენამ, არა ერთსა და ორს ახალგაზრდა ქართველებს ასწავლა სამშობლოს სიყვარული, ერისათვის ბრძოლა და საქართველოსთვის თავისდადება. ჩემი პატარა ნაბადით მის გვერდზე ვწყობი. «სად დაგაპატიმრეს, როდის და როგორ!» მეკითხება იგი და მეც უპასუხებ. «დავმარცხდით» მეუბნება იგი. «დავმარცხდით და დღეს მტერს ჩავუცვივდით ხელში, უბრძოლველად, უსისხლოდ. ვით ცხვრის ფარას მიერეკება მტერი უიარაღო ქართველობას ციხისკენ, და ციხიდან კი სასაკლაოზე. ასობით იხოცებიან მამულიშვილნი ხელებშეკრულნი მტრის ტყვიით. დამარცხდა ჩვენი აჯანყება, დამარცხდა უამრავი მტრის ხელით და, დღეს ჩვენ ყველა გამომწყვდეულნი ოთხ კედელ შუა ველით სიკვდილს, მაგრამ, ჩემო ელიზბარ, ნუ დავივიწყებთ კვლავ ჩვენ ქართველობას, და დავიხოცნეთ ვით იხოცებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, მხნედ, ქართველურად, და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს კეთილდღეობაზე, დეე ნახოს მტერმა თუ როგორ იხოცებიან ქართველები სამშობლოსათვის. გუშინ ამ საკანში 9 ვიყავით დღეს მარტო ღა ვარ, დანარჩენები წუხელის დაიხოცნენ მტრის ხელით. საქართველოს ყველა კუთხეში იხოცება და იჟლიტება შეურაცხყოფილ რუსის ჯალათების ხელით, ქართველი მამულიშვილები. ქართველთა სისხლით მორწყო საქართველო».

იგი მიწვა და მეც მის მაგალითს მივბაძე. საკანში სიჩუმეა, ყველა სდუმს ყველა თავისთვის ფიქრობს. მეც ფიქრში გავერთე, ჩემი ფიქრი უმალ ტფილისისკენ გაქანდა და მეტეხის კედლებში შეიჭრა; ვფიქრობ მოხუცებულ მამაზე, რომელიც უკვე 8 თვე იმყოფება მეტეხის ციხის კედლებში გამომწყვდეული, ჩემს ძვირფას ძმა ბიძინაზე, რომელიც დაპატიმრებული იქმნა რუს ჯალათების მიერ ერთი წლის წინად. ვფიქრობ მათზე: «ვაი თუ ჯალათებმა მათაც მოუსპონ სიცოცხლე, ვფიქრობ და ტანში ჟრუანტელი მივლის; არა, ვანუგეშებ თავს, გადარჩებიან ან რას ერჩიან, მათ ხომ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ» ამ ფიქრში გართულს, ხალხის ფეხის ხმა და კლიტის ჩხარუნი შემომესმა, წამოვჯექ, «იწყობა» წამჩურჩულა გიორგიმ «იწყობენ ჯალათები თავის საქმეს». საკანში ხალხი შემოვიდა შეიარაღებულნი თავით ფეხებამდე. «ციცქიშვილი გიორგი»! გაისმა ხმა ციხის უფროსის. «აქ ვარ» იგი წამოდგა, ამაყად მიიხედ მოიხედა. «რა გნებავთ!» «წამობრძანდი, გიბარებს გამომძიებელი». -გამომძიებელი შუა ღამისას», ჩაიცინა გიორგიმ. «ვიცი, ვიცი როგორ მიბარებს და ვინ მიბარებს მე». —«აჩქარდით», ისმის კვლავ ხმა. გიორგიმ ჩემსკენ მოიხედა რაღაც უნდა ეთქვა, ხელი ჩაიქნია და საკნიდან გავიდა. კლიტემ კიდევ ერთხელ დაიჩხარუნა. სწრაფ ყველა გაჩუმდა. უაზროდ ვზივარ, თავბრუ მესხმის... ამ წამს, ამ წუთს ის ჩემს გვერდზე იყო, ვსაუბრობდით. «მშვიდობით, მშვიდობით ძვირფასო გიორგი ჩვენც, ჩვენც ყველას მოგველის ეგ ბოლო».

თერთმეტ საათზე ტუსაღთა რიცხვმა იმატა. საკნები ივსება კახეთის სასახელო შვილებით. საკანში დაჯდომა ვეღარა ხერხდება. ნაწილი ხალხისა ფეხზე სდგას. ვწვებით და ვსხდებით რიგ-რიგობით. ხალხი ნახევარ ხმით საუბრობს, ამხნევებს ერთმანეთს. ყველა ელის სიკვდილს და ცდილობს შეხვდეს მას სიკვდილს მხნედ, ქართველურად; ისე, როგორც იხოცებოდნენ მათი მამა-პაპანი, სიკვდილის აჩრდილი დათარეშობს საკანში. მოღუშული კედლები, მბჟუტავი ჭრაქი, ნახევრად ბნელი საკანი, ყველას ერთად ჟრუანტელსა ჰგვრის ადამიანს.

ჩვენს პატარა ერთად-ერთ სარკმელზე მომდგარმა მზის სხივმა გვამცნო გათენება. საკნები გაგვიღეს. ციხის ეზოში გავედით. ყველა საკნებიდან გამოდის ხალხი. ყველგან ნაცნობი სახეები. ერთმანეთს ვესალმებით. ყველას სახეზე ტანჯვაა აღბეჭდილი, ყველა იტანჯება და სწუხს; მაგრამ ყველა ცდილობს იყოს მხნედ. აგერ ერთი ჯგუფი კუთხეში შეგროვილნი დაბალი ხმით იწყობენ სიმღერას. ხალხი მათკენ გროვდება. სიმღერა მატულობს. აგერ მოხუცი რევაზ ყარალაშვილის წკრიალა ხმა. «ქართველო ხელი ხმალს იკარის» სიტყვებით. ტანში ჟრუანტელი მივლის, ჟრუანტელი სიამოვნების. ისმის ზედამხედველის ყვირილი: «მოქალაქენო სიმღერა მოსპეთ». 15 წუთის სეირნობის შემდეგ ჩვენ კვლავ საკანში ვართ. საუბარი ხუმრობა და მოსწრებული სიტყვები გვავიწყებს ჩვენს მდგომარეობას. მზე კი თან და თან დასავლეთისკენ იწევს, ბინდდება და შებინდებასთან ერთა გულიც იღუშება. «ყმაწვილებო ახალი გაზეთი» შემოგვესმა ხმა და კარების პატარა ჭუჭრუტანიდან გაზეთი მოგვაწოდა მეორე საკნის ერთ ერთმა პატიმარმა. გაზეთს მივესიეთ. პირველ გვერდზე თვალი შევასწარ ჯალათების ხელით დახვრეტილი მამულიშვილთა გრძელ სიას. გულმა საშინელი ცემა დამიწყო. რაღაც საშინელებას ველი და რასაც ველოდი არ ამცდა. «მაყაშვილი ბიძინა 21 წლის, მაყაშვილი გიორგი». თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამესხა და მოდუნებული დავეშვი იატაკზე. ვიღაცამ წყალი დამალევინა. მოსულიერდი ჩემს წინ ათონ მაყაშვილი იდგა. «გამხნევდი ელიზბარ -მეუბნება იგი — შენი ძმა და მამა დაიხოცნენ გმირებად ვით ქართველი მამულიშვილნი, დღეს თუ ხვალ ჩვენც ეგ მოგველის». შეღამდა. ყველა მივწექით. ფიქრი არ მასვენებს. «საწყალი ბიძო, საწყალი მოხუცი მამა, ორივენი ერთად მოკლული მტრის ხელით». გული მეტანჯება, გული მიკვნესის, სულ თქმა მიჭირს. საკანში სიჩუმეს არღვევს სამეში ოხვრა, ან და ჩუმი ვისიმე ხმა. «რომელი საათია!» ყველა ელის შუა ღამეს, შუა ღამე ყველაზე საზარელი წუთი, შუა ღამე, როდესაც ჯალათები იწყობენ თავის საქმეს. ფეხის ხმა გაისმა, კვლავ გულმოსაკლავად გაიჩხარუნა საკნის კარების კლიტემ, ვით ჭიკიკის ხმა გაისმა კარის ჭრიალი და კვლავ საკანი გაივსო თვალებ ჩასისხლიანებული რუსის ჯალათებით. დაიწყო გამოძახება ხალხის. (ყველა საკნებიდან გამოდიან ტუსაღები. სია შეჩერდა. «გადავრჩით», ჩამჩურჩულა ჩემმა საუკეთესო მეგობარმა რომლის სახელს აქ არ ვიხსენიებ) სიტყვა ვერ დაასრულა, როდესაც გაისმა მისი გვარი და შემდეგ ჩემიც. უაზროდ წამოვდექ, იმ დროს შიში არ მიგრძვნია. დავდექ სხვებთან ერთად. «მხნედ ელიზბარ, ქართველურად», მეუბნება ათონ მაყაშვილი. ჩვენ 16 ვართ. ალყა შემოგვერტყა, გაიღო ალაყაფის მაგარი კარები; ჩვენ გარეთ ვართ. სიბნელე საშინელი. ვგრძნობთ ჯალათების თოფების ცივ ლულებს მობჯენილს ზურგებზე. რამდენიმე ჯალათი შევიდა ციხის საავადმყოფოში. კვლავ გამოვიდნენ; რაღაც მოაქვთ. შემოგვიერთეს საკაცე, რომელზედაც წევს ცოცხალ მკვდარი მოხუცებული რაზმაძე; დატანჯული, თავ-გაზეთქილი და ნაცემი რუსის ჯალათების მიერ წინა დღისას. მივდივართ, მივაბიჯებთ ჯალათთა ბუნაგს «პოლიტ ბიუროთ» წოდებულს. შევდივართ შიგ. «ჩარეკეთ ყველა დაბლა!», გაისმა უფროსი ჯალათის ჯაფარიძის ბრძანება. ყველა სარდაფ ჯურღმულში ჩაგვყარეს. ბნელი, მიწური, უიატაკო და უფანჯრო ოთახი. ჩვენს გარდა ოთახში სამი კაცია. ახლო მივედი, «გიორგი!» წამოვიძახე, «ცოცხალი ხარ?» «ჯერჯერობით» მიპასუხა ღიმილით.

«ეს არის უკანასკნელი წუთი ერთად ყოფნის, რაღაც მალა ჩამჩურჩულებს, რომ შენ გადარჩები და თუ გადარჩი, დამიკოცნე ჩემი ბიჭიკო და მოხუცი დედა; გადაეცი ჩემს მეუღლეს, რათა გაზარდოს ჩემი შვილი ვით ნამდვილი ქართველი». კარებს ცნობილი მოღალატე, ჯალათი რამან ყანჩაველი მოადგა. «ციცქიშვილი!» გიორგი წამოდგა, «მშვიდობით ყმაწვილებო, მედგრად ქართველურად» მოგვმართა ჩვენ და მსწრაფლ მაღლა ავიდა. «მაყაშვილი ათონ!» გაისმა კვლავ მახილი. ათონი წელში გაიმართა: «მშვიდობით» მოგვმართა ჩვენ. აქ უკანასკნელად შევხედე მის სახეს. მისმა სრულიად მშვიდმა და თითქმის მოღიმარმა სახემ გამაოცა. შეჩერდა რაღაც უნდოდა ეთქვა, «აჩქარდი!» შეუტია ჯალათმა ყანჩაველმა და დასარტყმელად რევოლვერი ასწია. «არ დამკრა ჯალათო! მოკვლის ნებას მოგცემ და ცემისა კი არა». მიაძახა მკვახეთ ათონმა და მსწრაფლ თვალთაგან მოგვეფარა. «ყარალაშვილი რევაზ!» მოხუცი წამოდგა უაზროდ თვალები მოგვავლო და უხმოდ, უსიტყვოდ გავიდა. მაღლა ასვლა გაუძნელდა და თითქმის თრევით იქმნა ატანილი. მას მოჰყვა დანარჩენი გვარების გამოძახება. ჯურღმულს თან და თან მოაკლდა ხალხი. აქეთ-იქით ვიხედები: აგერ ჩემს გვერდზე მოხუცი მამა თავის ორი შვილით. მამა თავს ევლება თავის უნცროს შვილს, რომელიც მიწოლილა ნესტიან მიწაზე თვალებ დახუჭული, ტუჩები უაზროთ უტოკავენ. სახეზე წითელი ალი ასდის. «ავად არის», მეუბნება მამა ხმის კანკალით. «ლოგინიდან ააყენეს იმ უღმერთოებმა და აქეთ წამოიყვანეს ჩვენთან ერთად». «წყალი», გაისმა ტუჩებ გამშრალ ავად მყოფის ჩუმი ხმა. მამამ თვალებზე ცრემლ-მომდგარმა უხმოდ ამოიოხრა. «წყალი სად არის შვილო»... კვლავ გამოჩნდა ჯალათი. ავადმყოფს ეძახიან. «ვაიმე შვილო» ამოიკვნესა მამამ და გადაეფარა შვილს. ჯალათებმა აგლიჯეს მამა. გული გოდებით ამევსო, უაზროთ ფეხზე წამოვდექ და წინ ბიჯი გადავდგი. ჩემს მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. გულზე მობჯენილმა თოფის ლულებმა შეგვაჩერა. ავადმყოფი თრევით გაიტანეს.

«ჯალათებო, მტარვალებო, მხეცებო! გაისმა მამის ღრიალი და ხელებ აშვერილი კარებისაკენ გაქანდა. კარები ცხვირ წინ მოუხურეს. იგი მოტრიალდა, თვალები მოგვაშტერა. «მიშველეთ, დამიბრუნეთ ჩემი ბიჭი, ჩემი საყვარელი შვილი», მოგვმართა ბღავილით. «როგორ, უბედურო მოხუცო, როგორ დაგიბრუნოთ შენი შვილი. ჩვენ რა შეგვიძლია ან რით გაგამხნევოთ!» რამდენიმე წუთის შემდეგ დაძახილი იქმნა მეორე შვილიც. იგი მიუახლოვდა მამას, გადაეხვია, უცბად მოშორდა. «მშვიდობით მამი?!» მიაძახა კარებიდან და მსწრაფლ თვალს მოეფარა. მამა უაზროდ გაჰყურებდა მიმავალ შვილს. «შეიშალა ჭკუაზე საწყალი მოხუცი» ვფიქრობ მე. ოთხნი ღა ვართ. მოდის ჩვენი ჯერიც. მაღლიდან ხმაური მოისმა. «ხელებს ნუ მიკრავთ ჯალათებო, მომკალით ხელებ შეუკვრელად!» გაისმა ხმა! «ვაიმე!» შემომესმა კვლავ სასოწარკვეთილი ხმა, ხმა მოხუც ყარალაშვილის. კვლავ ხმა: «ქართველებო თქვენ ნუ მესვრით დაე რუსებმა მომკლან!»

ავტომობილის მოტორის ხმა ხალხის ხმამ დაფარა, «ატიტვლებენ და ხელებს უკრავენ», ჩამჩურჩულა ჩემს გვერდზე მჯდომმა მეგობარმა. რაღაც საშინელმა ელექტრონისებულმა ძალამ ტანში დამიარა. მსურს ვიფიქრო, ფიქრებს თავს ვერ ვუყრი. სახე საშინლად მიხურს, თავი მიბრუის. ჩემს მეგობარს დაუძახეს, იგი გადამეხვია მაგრა, მაგრა დამკოცნა და წინ ბიჯი გადადგა. გასვლა ვერ მოასწრო. უცბად მაღლა გავარდა დამბაჩა. «კიდევ მოჰკლეს ...» (ჯალათ ჯაფარიძის სახელი) «დახოცეთ ყველა პატიმრები!» დაიძახა ვიღაცამ რუსულად. დაიწყო საშინელი სროლა. ხელებ შეკრულ ხალხს ესროდნენ ჯალათები. სროლის ხმაში მოისმოდა ლანძღვა ჯალათების მიმართ. კვნესა, მახილი. თოფის კვამლმა თავბრუ დამხვია, პირქვე დავეცი. გარედან შემოჭრილ რუსის ჯარისკაცებმა ხმლები აამუშავეს; დაჭრილთა კვნესა, ლანძღვა, გამამხნევებელი ხმები, შველის თხოვნის ხმა, ხმლების ჩახა-ჩუხი, თოფის სროლა ერთმანეთში აირია. ვეღარ გავუძელ ამ საზარელ ხმაურობას და ყურები დავიცავი. ვეღარას ვგრძნობდი, ვეღარ ვაზროვნებდი; ვიცოდი მხოლოდ, რომ იქ მაღლა, მეორე სართულში ჟლეტდნენ უიარაღო და ხელებ-შეკრულ ქართველობას. რამდენიმე ტყვიამ ხის იატაკში ჩამოატანა და იქვე გვერდით დაეცა. მაღლიდან ჩხრიალი მოისმა, ზედ რაღაც სითხე დამედინა, «ალბად წყალი თუ არის?» გავიფიქრე ჩემთვის. მხოლოდ მეორე დილით შევნიშნე, რომ ის სითხე წყალი კი არა სისხლი იყო, სისხლი ადამიანთა და მეც მთლად წითლად ვიყავი შეღებილი ჩემივე მოძმეების სისხლით

გათენებისას სროლა შეჩერდა. ხანგამოშვებით მოისმოდა დაჭრილთა ხრიალი და კვნესა, რასაც თან მოსდევდა თოფის ხმა, რომლის შემდეგ სწრაფად სწყდებოდა დაჭრილთა კვნესა. დილის 4 საათზე კიბეებზე ხმაურობამ მამცნო, რომ ჯალათები მიათრევდნენ და სტვირთავდნენ ურმებზე ქართველ მამულიშვილთა დახოცილ გვამებს.

ქართველი ვაჟკაცნი, რომელთა ძარღვებიც რამოდენიმე დღის წინათ სცემდნენ მძლავრად, მათი გულები აღგზნებულნი სამშობლოსადმი სიყვარულით, სძგერდა ქართველურად, იმარხებოდნენ დაუტირებლად ვით პირუტყვნი საერთო სათლავში. 36 ქართველმა შესწირა ამ ჯოჯოხეთ ღამეს სამშობლოს თავი.

მკვლელობა ჯაფარიძესი მოხდა შემდეგნაირად: კომუნისტთა ჯგუფში იმყოფებოდა ვინმე ქართველი ახალგაზრდა ალექსანდრე ჯორჯაძე. ამავე დროს დაპატიმრებულთა ჯგუფში იმყოფებოდა მისი მამა, რომელსაც თელავის საგანგებო კომისიამ აჯანყების დროს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ალექსანდრე ჯორჯაძემ რამდენჯერმე მიმართა ჯაფარიძეს, რათა მას შეემსუბუქებინა მამისათვის სასჯელი. თხოვნა დატოვებული იქმნა უშედეგოდ. ზემო აღწერილ ამბის დროს, მამა ჯორჯაძის ხელებ შეკრული იყო სხვა პატიმრებთან ერთად და სასიკვდილოთ გამზადებული. «პოლიტ ბიუროს» კარებში ჯორჯაძემ დაინახა ეს სურათი და კიდევ ერთხელ მიმართა ჯაფარიძეს, რათა მას ეპატიებინა მის მამისათვის და არ დაესაჯა სიკვდილით. ჯაფარიძესაგან მან მიიღო შემდეგი პასუხი: «თუ შენ ნამდვილი ბოლშევიკი ხარ, თვით შენ დახვრიტე მამა შენს»-ო. ამ სიტყვების შემდეგ ჯორჯაძეში გაიღვიძა მამისადმი სიყვარულის გრძნობამ, მან ესროლა ჯაფარიძეს, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრა (უკანასკნელი მოკვდა ორი დღის შემდეგ) და თვითონ კი თავის მამასთან და სხვა ქართველებთან ერთად აკუწული იქმნა რუსის ჯარის კაცების მიერ ხმლებით.

**ელიზბარ მაყაშვილი.**

---

ქ. ვალენტინაში იხსნება თეთრი გიორგის წიგნთსაცავი.

---

### შეცდომების გასწორება.

თეთრი გიორგის მე-21 ნომერში ვლ. ემუხვარის წერილში «შემოქმედის საქმე» დაწერილია: «მ. ნ-ძე. უნდა იყოს მ. წ-ძე. გვერდი 2, სტრიქონი 28 ქვევიდან.

დაბეჭდილია მე-3 გვერდზე «კანონს ჩიტივით თავისუფლად». უნდა იყოს «ჩიტივით თავისუფლად» -სტრიქონი 30 ქვევიდან.

იმავე მე-3 გვერდზე ქვევიდან 23 სტრიქონზე დაბეჭდილია —«დროს შეურაცხყოფად». უნდა იყოს «ერის შეურაცხყოფად».

მე-3 გვერდის უკანასკნელ სვეტზე ზევიდან მე-12 სტრიქონზე დაბეჭდილია «26 მაისის სხდომაზე», უნდა იყოს 4 მაისის სხდომაზე. იმავე სვეტზე ქვევიდან მე-4 სტრიქონზე დაბეჭდილია «გასამართლების დროს», უნდა იყოს «მოსამართლეობის დროს».

Le Gérant : Félix KALDENPACH

Imp. J. Zindy-Peter - Audincourt